საქართველო
სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

4100, ქ.სენაკი, შ.რუსთაველის ქ.№243
243, Sh.Rustaveli Str., Senaki, Georgia

Tel.:(0413 27 57 97, Fax.:(0413 275211
E-mail: sakrebulo.senaki@gmail.com
Web address: www.senaki-sakrebulo.ge

№ 161 11 ივლისი 2018 წელი

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2018 წლის 5 ივლისს შემოსული სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის თეიმურაზ ვახანიას განცხადების (სარეგისტრაციო №205) - განხილვასთან და გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით - სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე დღის წესრიგის შესაბამისად განხილულ იქნა საკითხი – სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2018 წლის 5 ივლისს შემოსული სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის თეიმურაზ ვახანიას განცხადების (სარეგისტრაციო №205) - განხილვასთან და გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით - სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს VII თავის, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2018 წლის 11 ივლისის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დაწყებულ იქნეს ადმინისტრაციული წარმოება - „სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების თაობაზე" სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 ნოემრის №38 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
2. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მიღებულ იქნეს 2018 წლის 11 ოქტომბრამდე.
3. „სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების თაობაზე" სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 ნოემრის №38 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი განსახილველად გადაეცეს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიას.
4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარეს – ზურაბი აფაქიძეს და სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს აპარატის უფროსს - ვეფხვია რუსიას.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. სენაკი, შ. რუსთაველის ქ. №247).

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მოადგილე: ბადრი კალანდარიშვილი